ᲘᲯᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ

წინამდებარე იჯარის ხელშეკრულება (“*ხელშეკრულება*”) დაიდო ქ. თბილისში 2012 წლის 1 მარტს შემდეგ მხარეებს შორის:

შპს „შემოქმედებითი ცენტრი ერისიონი”, საიდენტიფიკაციო კოდი: № 205214258 (*„მეიჯარე“*), წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ირაკლი ყაჭეიშვილის (პირადი №01008009084) მიერ; და

შპს “ფლორეალი”, საიდენტიფიკაციო კოდი: № 216338611 (*„მოიჯარე“*), წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირით გელა ქობესაშვილის (პირადი№ 35001006521) მიერ.

მეიჯარე და *მოიჯარე* შემდგომში ინდივიდუალურად ასევე მოიხსენიებიან როგორც *„მხარე“*, ხოლო ერთად როგორც *„მხარეები“*.

ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲐᲠᲘᲗᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲓᲜᲔᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲖᲔ:

ᲛᲣᲮᲚᲘ 1. ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ

1.1 წინამდებარე *ხელშეკრულებით მეიჯარე* დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადასცემს *მოიჯარეს*, ხოლო *მოიჯარე* დროებით სასყიდლიან სარგებლობაში იღებს *მეიჯარისგან მეიჯარის* საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.15.05.010.002.01.503) ნაწილს, კერძოდ 79.93 კვ. მ. ფართს, რომელიც წარმოადგენს ქ. თბილისში რუსთაველის გამზ. №16 (“*საიჯარო ქონება*”).

1.2 *მოიჯარე საიჯარო ქონებას* გამოიყენებს საჭრო ობიექტის მოწყობისა და მისი ოპერირების მიზნით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 2. ᲥᲘᲠᲐ

2.1 *საიჯარო ქონებისთვის მოიჯარის* მიერ *მეიჯარისადმი* გადასახდელი ყოველთვიური ქირა (“*სტანდარტული ქირა*”) შეადგენს 2500 (ორიათას ხუთასი) აშშ დოლარს დღგ-ს ჩათვლით, გარდა ხელშეკრულების 3.1 მუხლის შესაბამისად საიჯარო ქონების *სარგებლობაში გადაცემის თარიღიდან* შემდგომი 2 თვისათვის, რომელი პერიოდისთვისაც *მეიჯარისადმი* გადასახდელი ყოველთვიური ქირა („საწყისი ქირა“) შეადგენს 1250 (ათას ორას ორმოცდაათი) აშშ დოლარს, დღგ-ს ჩათვლით (“*საწყისი ქირა*” და *„სტანდარტული ქირა“ ხელშეკრულებაში* ერთობლივად წოდებული როგორც “*ქირა*”).

2.2 *მოიჯარის* მიერ *მეიჯარისადმი ქირის* გადახდის ვალდებულება წარმოიშობა *საიჯარო ქონების სარგებლობაში გადაცემის თარიღიდან.*

2.3 პირველი თვის საიჯარო ქირის გადახდა განხორციელდება 2012 წლის 20 აპრილამდე, ხოლო მეორე თვის საიჯარო ქირა გადახდილი იქნება 2012 წლის 20 მაისამდე, ხოლო შემდგომ, *სტანდარტული ქირის* გადახდა მოხდება ყოველი თვისათვის ცალ-ცალკე. ყოველი მიმდინარე თვის არაუგვიანეს 15 რიცხვისა. თუ 15 რიცხვი დაემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ გადახდა მოხდება მომდევნო

სამუშაო დღეს. *ქირის* გადახდა განხორციელდება *მეიჯარის მიერ* 11.3 მუხლში განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

2.4 *ქირის* გადახდა წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღისათვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

2.5 *ქირის* გადახდის 3 (სამი) დღეზე მეტი ვადით დაგვიანების შემთხვევაში, *მეიჯარეს* უფლება ექნება, მოსთხოვოს *მოიჯარეს* პირგასამტეხლოს გადახდა დაგვიანებული თანხის 0.1% ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

2.6 იმ შემთხვევაში, თუ *საიჯარო ქონების* ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლის გამო *მოიჯარეს* წაერთვა, ან შეეზღუდა *საიჯარო ქონებით* სარგებლობის საშუალება, მას შეუმცირდება *ქირა*; თუ *საიჯარო ქონებას* აღმოაჩნდება ნაკლი, მაშინ *მოიჯარეს ქირა* შეუმცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა *საიჯარო ქონების* ვარგისიანობა (სარგებლობის შესაძლებლობა) ნაკლის გამო. ნაკლის გამოსწორებისას ეს უფლება ძალას კარგავს.

2.7 თუ ნაკლის გამო *მოიჯარე* დაკარგავს *საიჯარო ქონების* სარგებლობის შესაძლებლობას, იგი გათავისუფლდება *ქირის* გადახდის ვალდებულებისაგან იმ პერიოდის განმავლობაში, როცა მას არა აქვს *საიჯარო ქონებით* სარგებლობის საშუალება.

2.8 იმ შემთხვევაში, თუ *მოიჯარეს საიჯარო ქონების* სარგებლობაში დაბრკოლება შეექმნა თავისივე ბრალით, იგი არ გათავისუფლდება *ქირის* გადახდის ვალდებულებისაგან.

2.9 იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ *ქირა* სრულად შეესაბამება არსებულ საბაზრო პირობებს, საიჯარო ქონების სარგებლობაში გადმოცემის თარიღიდან სამი წლის განმავლობაში საბაზრო პირობების შეცვლა და სხვა გარემოებები არ წარმოშობს *მეიჯარესთვის ქირის* გადასინჯვის საფუძვლებს.

მუხლი 3. სარგებლობაში გადაცემა

3.1 *მეიჯარე* ვალდებულია, არა უგვიანეს 2012 წლის 1 აპრილისა (“*სარგებლობაში გადაცემის თარიღი*”) *მოიჯარეს* სარგებლობაში გადასცეს *საიჯარო ქონება*.

3.2 *მეიჯარის* მიერ *მოიჯარისადმი საიჯარო ქონების* სარგებლობაში გადაცემას *მხარეები* დაადასტურებენ ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

3.3 *მეიჯარის* მიერ *მოიჯარისადმი საიჯარო ფართის* სარგებლობაში გადაცემის 15 დღეზე მეტი ვადით დაგვიანების შემთხვევაში, *მოიჯარეს* უფლება ექნება მოსთხოვოს *მეიჯარეს* პირგასამტეხლო 200 აშშ დოლარის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

მუხლი 4. საიჯარო ქონების რემონტი და ჭვეიჯარა

4.1 იმის გათვალისწინებით, რომ *მოიჯარის* მიერ *საიჯარო ქონების* გამოყენების მიზანს წარმოადგენს სავაჭრო ობიექტის მოწყობა და მისი ოპერირება, *მხარეები* წინამდებარით ცალსახად, შეუქცევადად და უპირობოდ თანხმდებიან, რომ *მოიჯარეს* უფლება აქვს, *მეიჯარესთან* წინასწარი *შეთანხმების* გარეშე განახორციელოს *საიჯარო ქონების* ნებისმიერი, გადაკეთების, დეკორატიული თუ სარემონტო სამუშაოები *გარდა სარეკონსტრუქციო და დემონტაჟის*

სამუშაოებისა, რომელიც შეთანხმებული უნდა იქნას მეიჯარესთან წინასწარ წერილობითი სახით

4.2. *მეიჯარეს უფლება არ აქვს დაუსაბუთებლად უარი უთხრას მოიჯარეს 4.1. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებაზე.*

მუხლი 5. საიჯარო ქონების გასხვისება

5.1 იმ შემთხვევაში თუ, წინამდებარე *ხელშეკრულების* მოქმედების ვადის განმავლობაში *მეიჯარე* განიზრახავს *საიჯარო ქონების* გასხვისებას მესამე პირისადმი, *მეიჯარე* ვალდებული იქნება გასხვისებამდე სულ მცირე 2 თვით ადრე წერილობით შეატყობინოს *მოიჯარეს საიჯარო ქონების* მოსალოდნელი გასხვისებისა და გარიგების პირობების თაობაზე.

5.2 წინამდებარე *ხელშეკრულების* მოქმედების ვადის განმავლობაში *მოიჯარეს* ენიჭება *საიჯარო ქონების* უპირატესი შესყიდვის უფლება, მესამე პირისადმი შეთავაზებული პირობებით, ხოლო *მეიჯარე* უფლებამოსილი იქნება გაასხვისოს *საიჯარო ქონება* მესამე პირზე მხოლოდ *მოიჯარისაგან* უპირატესი შესყიდვის უფლებაზე უარის მიღების შემდეგ.

5.3 *მოიჯარე* ვალდებულია, *მეიჯარისაგან საიჯარო ქონების* გასხვისების განზრახვის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან 1 თვის ვადაში შეატყობინოს *მეიჯარეს* მის მიერ უპირატესი შესყიდვის უფლებით სარგებლობის სურვილის შესახებ, ხოლო აღნიშნულ ვადაში *მეიჯარის* მიერ *მოიჯარისაგან* შეტყობინების მიუღებლობა მიიჩნევა *მოიჯარის* უარად აღნიშნული უფლებით სარგებლობაზე.

5.4 *მეიჯარე* იღებს ვალდებულებას, სრულად აცნობოს წინამდებარე *ხელშეკრულების პირობები საიჯარო ქონების* შემძენ მესამე პირს.

5.5 *მხარეები* წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებენ, რომ ისინი აცნობიერებენ, რომ წინამდებარე *ხელშეკრულების* მოქმედებაზე გავლენას არ იქონიებს *საიჯარო ქონების* მესაკუთრის ცვლილება და, რომ წინამდებარე *ხელშეკრულებით მეიჯარეზე* დაკისრებული ვალდებულებები და მისთვის გათვალისწინებული უფლებები, მათი სრული მოცულობით, გადავა *საიჯარო ქონების* ახალ მესაკუთრეზე. ამასთანავე, *მეიჯარე* წინამდებარით იღებს ვალდებულებას, მესამე პირზე *საიჯარო ქონების* საკუთრებაში გადაცემისას უზრუნველყოს *საიჯარო ქონების* ახალი მესაკუთრის მიერ ისეთი დოკუმენტის ხელმოწერა და ყველა ისეთი ზომის მიღება, რომლითაც იგი ცალსახად გახდება წინამდებარე *ხელშეკრულების მხარე.*

5.6. წინამდებარე ხელშეკრულების 5.1.; 5.2.; 5.3; პუნქტები არ იმოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარემ საიჯარო ქონება გაასხვისა მეიჯარესთან ურთიერთდამოკიდებულ პირზე.

მუხლი 6. მხარეთა სხვა მოვალეობანი

6.1 *მეიჯარე* ვალდებულია:

(ა) უზრუნველყოს ნებისმიერი შესაბამისი ორგანოსა თუ პირისაგან *მოჯარის* მოთხოვნის შესაბამისად ყველა ისეთი ნებართვის მოპოვება, რაც დაკავშირებულია საიჯარო ფართის ფასადის შეცვლასთან და ლოგოს განთავსებასთან. ამასთან მეიჯარე ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ნებართვის მოპოვება.

(ბ) *საიჯარო ქონების* დემონტაჟისა და/ან რეკონსტრუქციის თაობაზე მესამე პირთან მოლაპარაკებების წარმოების შემთხვევაში დროულად შეატყობინოს *მოიჯარეს* ამგვარი მოლაპარაკებების და მისი მიმდინარეობის თაობაზე;

(გ) უზრუნველყოს *მოიჯარე საიჯარო ქონებით* დაუბრკოლებელი სარგებლობით და ამგვარი სარგებლობისათვის საჭირო ინფორმაციით, აცნობოს *მოიჯარეს საიჯარო ქონების* ფარული ნაკლოვანებების შესახებ, რომელიც მეიჯარისათვის ხელშეკრულების ხელმოწერამდე იყო ცნობილი, ან ცნობილი გახდა ხელმოწერის შემდეგ და რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას *საიჯარო ქონების* ექსპლუატაციისას; და

(დ) ზოგადად, იმოქმედოს კეთილსინდისიერად და ყოველმხრივ დაიცვას წინამდებარე *ხელშეკრულება* და საქართველოს კანონმდებლობა;

6.2 *მოიჯარე* ვალდებულია:

(ა) უზრუნველყოს *საიჯარო ქონების* მოვლა-პატრონობა და სუფთა და სანიტარულ მდომარეობის შენარჩუნება;

(ბ) მისცეს *მეიჯარეს საიჯარო ქონების* დათვალიერების საშუალება *მხარეთა* შორის წინასწარ შეთანხმებულ დროს;

(გ) წინამდებარე *ხელშეკრულების* შეწყვეტიდან არა უგვიანეს 15 დღის ვადაში დაცალოს *საიჯარო ქონება* და დაუბრუნოს იგი *მეიჯარეს* სულ მცირე *მოიჯარისათვის* გადაცემისას არსებულ მდგომარეობაში, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით;

(დ) საკუთარი ხარჯებით ისარგებლოს კომუნალური მომსახურებით, მათ შორის ელექტროენერგიით, წყლით, ტელეფონით, დასუფთავებით და სხვა; და

(ე) ზოგადად, იმოქმედოს კეთილსინდისიერად და ყოველმხრივ დაიცვას წინამდებარე *ხელშეკრულება* და საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 7. ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტა

7.1 წინამდებარე *ხელშეკრულება* ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღზე და მოქმედებს *სარგებლობაში გადაცემის თარიღიდან* შემდგომი 3 წლის განმავლობაში (შემდგომში „საიჯარო ვადა").

7.2 *მხარეები* ცალსახად, უპირობოდ და შეუქცევადად თანხმდებიან, რომ *საიჯარო ვადის* განმავლობაში დაუშვებელია წინამდებარე *ხელშეკრულების* პირობების შეცვლა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეცვლა სავალდებულია შეცვლილ გარემოებებთან წინამდებარე *ხელშეკრულების* მისადაგების მიზნით, თუმცა *მხარეები* ცალსახად უარს აცხადებენ მათ უფლებაზე, მოითხოვონ *ქირის* გადასინჯვა, მიუხედავად შეცვლილი საბაზრო ფასებისა.

7.3 წინამდებარე *ხელშეკრულების* შეწყვეტის საფუძვლებია:

(ა) *საიჯარო ვადის* ამოწურვა;
(ბ) *საიჯარო ვადის* ამოწურვამდე *მხარეთა* შორის მიღწეული წერილობითი ურთიერთშეთანხმება; და
(გ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევები.

7.4. მეიჯარეს უფლება აქვს, *საიჯარო ვადის* ამოწურვამდე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე *ხელშეკრულება* იმ შემთხვევაში, თუ იგი შეწყვეტის თაობაზე შეატყობინებს *მოიჯარეს* სულ მცირე 6 თვით ადრე.
7.5. მოიჯარეს უფლება *აქვს, საიჯარო ვადის* ამოწურვამდე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე *ხელშეკრულება მეიჯარისადმი* 6 თვით ადრე შეტყობინების მიწოდებით. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარის მიერ დარღვეულ იქნება შეტყობინების ვადა, ეს უკანასკნელი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მეიჯარეს ზიანის სახით ყოველი დარღვეული შეტყობინების ვადის (თვის) შესაბამისი საიჯარო დირებულება. (მაგალითისათვის: თუ მოიჯარემ შეწყვეტის თაობაზე შეტყობინება გააკეთა შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე, მას მეიჯარის სასარგებლოდ ჯარიმის სახით დაეკისრება ერთი თვის საიჯარო ქირის ხუთმაგი ოდენობის გადახდის ვალდებულება).
7.6 ერთ-ერთი *მხარის* მიერ წინამდებარე *ხელშეკრულების* დარღვევის შემთხვევაში, თუ დარღვევა არ გამოსწორდება მეორე *მხარის* მიერ განსაზღვრული გონივრული ვადის განმავლობაში, მეორე *მხარეს* უფლება აქვს, საიჯარო ვადის ამოწურვამდე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება დამრღვევი მხარისადმი შეტყობინების მიწოდებით.

7.7. თუ წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე შეწყდა 7.6. მუხლის თანახმად მოიჯარის მხრიდან დარღვევის საფუძველზე, მოიჯარეს დაეკისრება მეიჯარის სასარგებლოდ ერთი თვის საიჯარო ქირის ექვსმაგი ოდენობის გადახდის ვალდებულება.

7.8. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე *ხელშეკრულება* ვადამდე შეწყდება 7.4 პუნქტის შესაბამისად, მეიჯარე მოიჯარეს ზიანის ანაზღაურების სახით გადაუხდის, ყოველ დარღვეულ (ვადამდე შეწყვეტილ) თვეზე 555 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარში.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1 *მხარეები <u>თავისუფლდებიან</u>* წინამდებარე *ხელშეკრულებით* გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან და პასუხისმგებლობისაგან მისი შეუსრულებლობისათვის, როდესაც მათ მიერ შესრულება ფერხდება საომარი მოქმედებების, ხანძრის, წყალდიდობის, გაფიცვების, ბლოკადის სტიქიური უბედურებების, ავარიის, საგადასახადო თუ საბანკო ინკასოს შედეგად („*ფორს-მაჟორული გარემოება*"), მაგრამ მხოლოდ იმ ფარგლებში და იმ დროის განმავლობაში, რამდენადაც და რა პერიოდშიც შესრულებაზე გავლენას იქონიებს ამგვარი *ფორს-მაჟორული გარემოება*.
8.2 *მხარე*, რომლის მიერ შესრულებაც ფერხდება *ფორს-მაჟორული გარემოების* შედეგად ვალდებულია, აცნობოს მეორე *მხარეს ფორს-მაჟორული გარემოების*

შესახებ მისი დადგომიდან არა უგვიანეს 48 საათისა. მეორე *მხარემ* შეიძლება მოითხოვოს *ფორს-მაჟორული გარემოების* დადასტურება სათანადო ფორმით.

8.3 თუკი *ფორს-მაჟორული გარემოება* გრძელდება ან თუ გონივრულად მოსალოდნელია *ფორს-მაჟორული გარემოების* გაგრძელება 2 თვეზე მეტი დროის განმავლობაში, *მხარეს*, რომლის მიმართაც ვერ ხდება ვალდებულების შესრულება უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე *ხელშეკრულება* მეორე *მხარისადმი* შეტყობინების მიწოდებით.

მუხლი 10. შეტყობინებები

10.1 წინამდებარე *ხელშეკრულების* თანახმად *მხარის* მიერ მეორე *მხარისადმი* მისაწოდებელი ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა კომუნიკაცია თუ განცხადება უნდა შედგეს წერილობით, მას ხელი უნდა მოაწეროს მისი გამგზავნი *მხარის* უფლებამოსილმა წარმომადგენელმა და უნდა მიეწოდოს მიიმდებ *მხარეს* პირადად გადაცემის გზით, რეგისტრირებული ფოსტით ან საკურიერო მომსახურების მეშვეობით.

10.2 თუკი არ არსებობს უფრო ადრე მიღების მტკიცებულება, ყველა შეტყობინება და სხვა კომუნიკაცია თუ განცხადება მიღებულად მიიჩნევა:

(ა) პირადად მიწოდების შემთხვევაში – მიმდები *მხარის* წარმომადგენლისადმი გადაცემის მომენტში;

(ბ) რეგისტრირებული ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში – შეტყობინების ან სხვა კომუნიკაციის თუ განცხადების შემცველი კონვერტის საფოსტო სამსახურისთვის ჩაბარებიდან მე-2 დღეს;

(გ) საკურიერო მომსახურების მეშვეობით გაგზავნის შემთხვევეში – შეტყობინების ან სხვა კონუნიკაციის თუ განცხადების შემცველი კონვერტის შესაბამისი საკურიერო სამსახურის წარმომადგენლისათვის ჩაბარებიდან მე-2 დღეს.

10.3 წინამდებარე *ხელშეკრულების* მიზნებისათვის, *მხარეთა* საკონტაქტო მონაცემები და საბანკო რეკვიზიტებია:

(ა) *მოჯარისთვის:*

მისამართი: ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. №8, III სართული

იმეილი: vptevri@gmail.com, ilias@ic-consulting.ge

საკონტაქტო პირი: გოჩა ჯიხვაშვილი -599508451, ვახტანგ ფხაკაძე 599683736.

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი", ანგარიში: GE10TB0700000001467450, ბანკის კოდი: TBCBGE22

(ბ) *მეჯარისთვის:*

მისამართი: ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. №14

იმეილი: i_katcheishvili@tifliscity.ge

საკონტაქტო პირი: ირაკლი ასლანიშვილი – 599790505; ირაკლი ჯაჭეიშვილი 599924114;

საბანკო რეკვიზიტები: ს.ს "თიბისი ბანკის" ცენტრალური ფილიალი – 220101830 ა.ა 48636020100005 GEL.

თუმცა, *მხარეებს* შეუძლიათ ერთმანეთისადმი შეტყობინების მიწოდებით

შეცვალონ წინამდებარე *ხელშეკრულების* მიზნით მათი შესაბამისი საკონტაქტო მონაცემები და საბანკო რეკვიზიტები.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1 წინამდებარე *ხელშეკრულება* რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. *მხარეები* ყველა ღონეს იხმარენ, რათა მათ შორის წამოჭრილი ნებისმიერი სადაო საკითხი გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თუ დავის ამგვარად გადაჭრა არ მოხერხდება, დავა განიხილება და გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლების მიერ.

11.2 წინამდებარე *ხელშეკრულება*, მის დანართებთან ერთად, მოიცავს *მხარეთა* შორის მის საკითხთან დაკავშირებით არსებულ სრულ შეთანხმებასა და ურთიერთგაგებას.

11.3 დაუშვებელია წინამდებარე *ხელშეკრულებაში* ცვლილებების ან დატებების შეტანა *მხარეთა* შორის მიღწეული წერილობითი შეთანხმების გარეშე.

11.4 გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარით ცალსახად სხვაგვარადაა გათვალისწინებული, დაუშვებელია წინამდებარე *ხელშეკრულებით* მინიჭებულ რაიმე უფლებაზე უარის განცხადება შესაბამისი *მხარის* მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის გარეშე.

11.5 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე *ხელშეკრულების* რომელიმე დებულება მიიჩნევა ბათილად ან უკანონოდ, ამგვარი ბათილობა ან უკანონობა არ იქონიებს გავლენას წინამდებარე *ხელშეკრულების* რომელიმე სხვა დებულებების ან მთლიანად წინამდებარე *ხელშეკრულების* ნამდვილობასა და კანონიერებაზე.

რის დასტურადაც, მხარეებმა, მათი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას ზემოთ აღნიშნულ თარიღზე.

მეიჯარე:

ირაკლი ყაჭეიშვილი
მინდობილი პირი

მოიჯარე:

გელა ქობესაშვილი
მინდობილი პირი